

ანა ხარანაული

აკად. გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი
ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**„აღამაღლე რქაჲ ქრისტეანეთაჲ“ –
რას სთხოვს ქართველი ღმერთს ამ გამოთქმით?**

„აღამაღლე რქაჲ ქრისტეანეთაჲ“ – რას სთხოვს ქართველი ღმერთს ამ სიტყვებით, რომელთაც იგი ყოველ ცისკრის მსახურებაზე წარმოთქვამს მღვდელთან ერთად ანდა ფსალმუნებში კითხულობს? რას უდასტურებს იგი ღმერთს, როდესაც ზიარების წინ ფსალმუნის ფრაზას ამბობს: „(ხოლო ჩემი მიახლება კეთილ არს და) დადებად უფლისა მიმართ სასოება“. როგორ ესმის მას „გარდამომდევ ფრთჳ შენი“ – როდესაც მარტო კითხულობს წმიდა წერილს, ანდა – „მრჩობლგზებნი“ – რომელიც ტექსტის თანამედროვე გამომცემელმა შეცდომად ჩათვალა და აპარატში ჩაიტანა? რა კვალიფიკაციას ვაძლევთ ამგვარ კალკებს – სინტაქსურსა და მორფოლოგიურს, იდიომებს, ლექსიკურ ნეოლოგიზმებს? ძალადობაა ენაზე? ეროვნული სულის დაკარგვაა და კაპიტულაციაა უცხო აღქმების, გამოხატვის უცხო საშუალებების წინაშე? თუ მსოფლმხედველობის გაფართოებაა? ენის დაფარული შესაძლებლობების გააქტიურებაა და ბიძგია ახალი ფორმების წარმოებისთვის? მისი მხატვრული სახეებით, გრამატიკული თუ სტილისტური ხერხებით გამდიდრებაა? მორწმუნეთათვის – მლოცველისათვის ეს არარელევანტური კითხვებია: იგი მიჩვეულია ამ ენობრივ გარემოს და განწყობას, მისთვის ეს ბუნებრივი გარემოა.

მაგრამ ჩვენზე შთაბეჭდილებას არ ახდენს ის, რომ წმიდა წერილმა და ლიტურგიამ ამ უცხო ფორმებით დაიმკვიდრა თავი ყველაზე დემოკრატიულ გარემოში – ეკლესიის მრევლში და დღესაც ამ ფორმებით ფუნქციონირებს. მიუხედავად იმისა, თუ რა პასუხი ექნებათ ინტელექტუალურ წრეებს, ყარას – მიწური ეკლესიის მრევლიც და ვარძიის არისტოკრატიაც ამ ენით მეტყველებდა ღვთის წინაშე. ჩვენ მაინცადამაინც ერთმნიშვნელოვან პასუხს ვითხოვთ – კარგია თუ ცუდი, უნდა მივესალმოთ თუ – დავგმოთ.

კითხვები, რომლითაც დავიწყე, ახალი არ არის: შეიძლება ჩვენზე მეტადაც ეს კითხვები ელინებს აწუხებდათ – იმათ, ვისაც თავისი მწერლობით თავად ჰყავდა დაპყრობილი დამპყრობელიც კი, ვინც საკუთარ ენას, თხზვის ტექნიკას და ორატორულ ხელოვნებას იკვლევდა და დარაჯად ედგა, ვისთვისაც რიტორიკის წესები იმდენად ბუნებრივი იყო, რომ მასზე გაზრდილი ქრისტიანი მამები, ამ წესების დაცვითვე აკრიტიკებდნენ რიტორიკისთვის ზედმეტი მნიშვნელობის მინიჭებას.

მაგრამ სეკტუაგინტამ, ძველი აღთქმის ბერძნულმა თარგმანმა და შემდეგ – ასევე ბერძნულად დაწერილმა ახალმა აღთქმამ ანტიკური რიტორიკა სრულიად უგულვებელყო. ბერძნულისთვის უცხო სინტაქსური კონსტრუქციები, უცხო ცნებები, ფრაზეოლოგია და იდიომები, თხრობის მანერა – ყოველივე ამის გამო მეცნიერები დღემდე ვერ შეთანხმებულან, რა დაარქვან წმიდა წერილის ენას –

ებრაიზირებული ელინური თუ ელინიზირებული იუდაური, მაგრამ დამოკიდებულება ამ ენისადმი გარკვეული აქვთ: კლასიკური ბერძნული ენის, ანტიკური მწერლობის მცოდნეებსა და მოყვარულებს შორის წმინდა წერილის ენა დღესაც იმავე ემოციებს აღძრავს, რასაც ალბათ ოდესღაც კლასიკურ რიტორიკაზე აღზრდილ ელინებში: ცნობილია ვილამოვიც-მოლენდორფის გამონათქვამი - „abscheuliche Septuaginta-griechisch“ („სეპტუაგინტას მახინჯი, საზიზღარი ბერძნული“).

მეორე მხრივ, სრულიად განსხვავებული დამოკიდებულება აქვთ სეპტუაგინტას ენისადმი მის პირველ შემფასებლებს: ალექსანდრიის მუსეონის მსახურებს – ელინ ფილოსოფოსებსა და ებრაელ სჯულის მეცნიერებს. ებრაიზმები – სინტაქსური კონსტრუქციები თუ იდიომური მეტყველება სრულიად არ აღიქმება ნეგატიურად: პირიქით, წყაროები, რომლებიც სეპტუაგინტას პირველ მსმენელთა რეაქციაზე მოგვითხრობენ, აღტაცებით საუბრობენ ორი ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ენის – ებრაულისა და ბერძნულის ურთიერთმსგავსებაზე, რაც სწორედ სეპტუაგინტაში განხორციელებულ ბერძნულის ებრაულთან ადაპტაციას გულისხმობს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ეს შეფასება წმ. წერილის ბერძნულმა თარგმანმა ალექსანდრიის ბიბლიოთეკაში მიიღო, სწორედ იქ, სადაც იქმნებოდა ეგვიპტიდან ინდოეთამდე განფენილი ბერძნულის ნორმა, სადაც „ენის სიწმინდის“ სადარაჯოზეც იდგნენ და ცალკეული ჟანრის „კანონსაც“ თავად ქმნიდნენ და იცავდნენ. ასევე აფასებდა სეპტუაგინტას ფილონ ალექსანდრიელიც, თავისი დროის ერთ-ერთი ყველაზე განსწავლული კაცი და ელინისტური სამყაროს ჭეშმარიტი მოქალაქე. იონე ოქროპირიც, ანტიკური მწერლობის დიდი მცოდნე და შემფასებელი, ანტიკურობისათვის უცხო და მშვენიერ სახეებს ხედავს წმიდა წერილის თხრობებში.

წმიდა წერილის ორი, ურთიერთგამომრიცხავი შეფასება: ენის სიმძიმე, მოუქნელობა, ერთგვაროვნება და, მეორე მხრივ – მისი სიღრმე, უბრალოება და სიზუსტე, მისი სიმშვენიერე, რაც შინაარსისა და ფორმის ჰომოგენურობაში გამოიხატება, უკვე ანტიკური ხანიდან აღინიშნება წყაროებში. აი, რას წერს იერონიმე ევსტოხიოსს: „მე საბრალო, მე ციცერონს ვკითხულობდი და თან ვმარხულობდი! ხშირი ღამისთევების შემდეგ ცხარე ცრემლებს ვღვრიდი ჩადენილი ცოდვების გამო, მერე კი ხელში პლატონს ვიღებდი! ხოლო, თუკი, გონს მოსული, წინასწარმეტყველების კითხვას დავიწყებდი, მისი ენა დაუმუშავებლად, უხეშად მეჩვენებოდა და თვალმდავსილი, სინათლეს რომ ვერ ვჭვრეტდი, ბრალს მზესა ვღებდი და არა თვალებს“.

სამოცდაათთა თარგმანი, გარკვეული აზრით, მართლაც ძალადობა იყო დიდი ხნის ისტორიის მქონე მწიგნობრულ ბერძნულზე: სეპტუაგინტაში ვერ ვნახავთ ბერძნულისათვის დამახასიათებელ ენობრივ სტრუქტურებსა თუ სააზროვნო ფორმებს, მის ცენტრალურ ცნებებს. ბერძნული ენა საკუთარი აზროვნების ფორმებს გაუუცხოვდა, ბერძნულ ყალიბში ჩასხმული ძველი და ახალი აღთქმა ბერძნული სულისათვის უცხო და შორეული დარჩა. ძნელია და შეუძლებელიც გადამკვეთი ხაზები ვიპოვოთ ბერძნულ ენაზე დაწერილ ძველ აღთქმასა და ბერძნულ ენაზე დაწერილ ანტიკურ ლიტერატურას შორის – როგორც ფორმალური, ისე სემანტიკური თვალსაზრისით ისინი ერთმანეთისაგან სრულიად ჰეტეროგენულნი არიან: სეპტუაგინტაში ვერ ვნახავთ ვერც კლასიკური,

ვერც ელინისტური მწერლობის რემინესცენციას, არც სექტუაგინტას დაუმჩნევია რაიმე კვალი წინაქრისტიანული ხანის ელინისტურ მწერლობაზე.

სექტუაგინტას ენაზე ლაპარაკი, მისი შეფასება ჩვენთვის გარკვეული თვალსაზრისით მარტივია, რადგანაც არსებობს მასალა, რომელსაც იგი შეიძლება შეუდარდეს: ერთი მხრივ, უზარმაზარი ანტიკური და ელინისტური ლიტერატურა და მეორე მხრივ – საბუთები, მათ შორის ალექსანდრიული პაპირუსები, რომლებიც სამოცდაათი მთარგმნელის თანამედროვეთა სალპარაკო ენაზე გვაძლევს წარმოდგენას.

XIX საუკუნის ბოლომდე, სანამ ეგვიპტური პაპირუსები აღმოჩნდებოდა, სექტუაგინტას ბერძნული კლასიკური ბერძნულისა და მისი შემდგომი საფეხურის – კონინესაგან სრულიად მოწყვეტით განიხილებოდა, მას თავისი სახელი – „ბიბლიის ბერძნული“ ერქვა და ლამის საკრალურ ენად ითვლებოდა. პაპიროლოგიურმა კვლევებმა ერთი შეხედვით ცხადყო: პირველი, რომ გრამატიკისა და ლექსიკის თვალსაზრისით ბიბლიური ბერძნულის თავისებურებაზე ლაპარაკიც არ შეიძლება, მეორე, რომ ბიბლიის ბერძნული ბერძნული ენის განვითარების ერთ-ერთი საფეხურია და, რომ ახალი ცნებების გამომუშავებისათვის მას არავითარი სხვა საშუალებები არ გამოუყენებია, ვიდრე პლატონსა და არისტოტელეს. ამდენად, ბიბლიის ბერძნული და მისი მიმართება ბერძნული ენის განვითარებასთან არ უნდა იქნას შეფასებული „ხელოვნური ატიკური პროზიდან“ გამოსვლით და, თავის მხრივ, მიაჩნიათ, რომ ლექსიკური მარაგიდან და ფორმათწარმოქმნის წესებიდან გამომდინარე, ბიბლიის ენა სამწერლობო ენამდე აღყვანილი საშუალო და დაბალი ფენების ენაა. მაგრამ პაპიროლოგიურმა ბუმმა გაიარა და ზედაპირული შთაბეჭდილებები იმის შეგრძნებამ დაფარა, რომ ბიბლიის ენის საკითხი, თუნდაც პაპირუსების ენასთან მიმართებით, უფრო ღრმად და დაწვრილებით უნდა შესწავლილიყო. დღეს კვლავ ცალკე აღებულ, სექტუაგინტას ენაზე ლაპარაკობენ, ოღონდ მას უკვე საკრალურობის აზრის მოსაცილებლად „თარგმანის“ ენას არქმევენ, რომელიც განსხვავდებოდა როგორც ალექსანდრიის სალპარაკო ენისაგან, ისე სამწერლობო ბერძნულისაგან. ყოველ შემთხვევაში, კითხვა – ესმოდა თუ არა ეს ენა ვინმეს ელინურ სამყაროში იუდეველთა გარდა, შეიძლება არა ისე კატეგორიულად, როგორც ადრე, მაგრამ ჯერ ისევ აქტუალურია.

ყველა ზემოთქმული ეხება ენას, აღებულს სუფთა ლინგვისტური ასპექტით, ენას, როგორც ლექსიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის ჯამს. მაგრამ სექტუაგინტას ენას სხვა ასპექტითაც განიხილავენ: როგორც აზროვნების ფორმასა და გამომსახველობით სტილს. სწორედ ამ უკანასკნელი ასპექტით აღებული, ბიბლიის ენა ძველი სამყაროსა და მისი მწერლობისთვის ისეთივე რევოლუციის მომასწავებელი იყო, როგორც ის ახალი იდეები, რომლებიც ამ ენით გამოითქმოდა. ამ თვალსაზრისითაც სექტუაგინტა სრულიად უცხო და გაუგებარი იყო მისი თანამედროვე სამყაროს უდიდესი ნაწილისათვის. მაგრამ სექტუაგინტაც, სახარებაცა და ეპისტოლეებიც, ქადაგებები, რომლითაც მოციქულები მიმართავდნენ არეოპაგის წევრებსაც და მეთევზურებსაც ელინისტური სამყაროს ყველა კუთხეში, გასაგები იყო ყველასთვის, ვინც ქრისტე განხორციელებულ მესიად მიიღო. ქრისტიანობის სწრაფი გავრცელება (და ქრისტიანობა, როგორც ცნობილია, მწიგნობრული რელიგიაა!) და ის, რომ მისი წმიდა წერილს ენობრივი კორექცია არ განუცდია არც ბერძნულად და არც თარგმანებში (განსხვავებით მაგ.,

ანტიკური დრამისა თუ კომედიისა, რომლის ლათინური თარგმანები რომელი პუბლიკის გემოვნებასთან იყო ადაპტირებული), სწორედ იმის ნიშანია, რომ გასაგები იყო მისი ყველა მკითხველისა თუ მსმენელისათვის.

ქართული ბიბლიის ენის შესწავლის შემთხვევაში საქმე უფრო რთულადაა. ერთი მხრივ, მისი ქართული თარგმანების შესახებ, განსაკუთრებით კი სიტყვასიტყვით, გელათური თარგმანების შესახებ ამბობენ, რომ მათ „დაკარგული აქვთ ქართული სული, ქართული შეგნება და ქართული სახეები“. მაგრამ, რეალურად, დოკუმენტურად, ვერც უარვყოფთ და ვერც დავადასტურებთ თარგმანის ენის სიახლოვეს მის თანადროულ სამწერლობო თუ სალაპარაკო ენასთან. ჩვენამდე მოღწეული ქართული ორიგინალური ლიტერატურა – სასულიეროცა და საეროც უკვე მთლიანად ბიბლიის სახეებითაა განმსჭვალული, ენობრივი სტრუქტურებიცა და სააზროვნო ფორმებიც უკვე ერთია. ამას რომ ვამბობთ, პირველ რიგში, „შუშანიკის წამება“ გაგვახსენდება, მისი „და“-თი, „ხოლო“-თი და „იყო“-თი დაწყებული წინადადებები, ანდა ებრაული კონსტრუქცია *waw consecutivum* – თანმიმდევრობის „და“-თი: მაგ. „და აღდგა და დაუტევა ტამარი თვისი და ღმრთის მოშიშებით ეკლესიად შევიდა და თანა მიიყვანნა სამნი იგი ძენი მისნი და ერთი ასული და წარადგინნა იგინი წინაშე საკურთხეველსა და ესრეთ ილოცვიდა და იტყოდა“, გაგვახსენდება აგრეთვე ისეთი ფრაზები, როგორცაა: „ხოლო მე აღვდეგ და მივედ და ვარქუ“, ასევე – „იკითხა და თქუა მსახურისა მიმართ, ვითარმედ“, „აღდგა და დაუტევა“, „აღუტევე კმაჲ და ვტიროდე“, „ჰკითხა და რქუა“, „სულთ ითქუნა და თქუა“, „მიუგე და ვარქუ“, „ვედრებოდა და ეტყოდა“, „ბოროტებდა და იტყოდა“, „ილოცვიდა და იტყოდა“... ენის ისტორიისათვის – ენობრივი ნორმის ჩამოყალიბებისა და მასზე უცხოენოვანი კონტაქტების ზემოქმედების წარმოსაჩენად თუნდაც ამგვარი მაგალითების სტატისტიკური ანალიზის ჩატარებაა საჭირო ადრეული, X საუკუნემდე ქართული ორიგინალური ლიტერატურისა და გვიანდელი ძეგლებისა, სადაც, ჩემი ზედაპირული შთაბეჭდილებით, ამგვარი კონსტრუქციები მცირდება და მათ ნაცვლად (ალბათ ბერძნულის, მაგრამ უკვე არაებრაიზებული ბერძნულის გავლენით) დაქვემდებარებული და მიმღეობური წინადადებები იკიდებს ფეხს („აღდგომილმან დაუტევა“, „ჰრქუა მეტყუელმან“).

სეპტუაგინტას რემინესცენციებია „შუშანიკის წამების“ ისეთი ფრაზეოლოგიზმებიც, როგორებიცაა ცნობილი პარონომაზია – „თრევით მოგითრიო“ („თრევით განმითრიო“ შდრ. ამის სინონიმური „თრევით წარგიყვანოს“), ან ებრაული ნაწილაკის ფარდი *ék* (// *áπo*) *τáw* *χρειάw*-ის შესაბამისი ქართული – „(ამას უქადებდა, რომელ-იგი) არა აქუნდა ἄელთა შუშანიკისაგან“ (შდრ. „გამოულო ἄელთა მისთა“); ასევე ბიბლიის ენის გავლენის მაგალითად მგონია – „მრავლითა გინებითა“ (შდრ. ფსალმ. მრავლითა მოწყალებითა, გულისწყრომითა. უკეთურებითა, მშაღობითა...). „შუშანიკის წამებაში“ უშემასმენლო წინადადებაც გვაქვს, რასაც, ჩვეულებრივ, უცხო ენის კვალად მიიჩნევენ ხოლმე: „ბრძანა ცოლად მისა ასული მეფისა^Á“, პლეონაზმებიც, ჩვეულებრივ, ტიპიური მაგალითია უცხო ენის გავლენისა: „შევიდა მუნ შინა“ – ესეც „შუშანიკის წამება“, ჩვენამდე მოღწეული ერთ-ერთი პირველი ქართული ორიგინალური ძეგლი.

ყველა ეს სინტაქსური კონსტრუქცია თუ ფრაზა ენაში უკვე ისეა გამჯდარი, რომ მწერალი თავისუფლად მეტყველებს მათი გამოყენებით, ისევე, როგორც წმიდა წერილის ციტატებით: „არცაღა მცირედ სადა სცა ჯორცთა მისთა განსუენებაჲ“ (ფს. 131.4. „არა ვსცე ძილ თუალსა ჩემსა, არცა რულილ წამთა ჩემთა, არცა განსუენებაჲ ჯორცთა ჩემთა“).

არ ვიცი, როგორ იკითხებოდა „შუმანიკის წამება“ მის თანამედროვეთა მიერ, მაგრამ დღევანდელი მკითხველისთვის მისი ყველა ებრაიზმი თუ გრეციზმი სრულიად ბუნებრივად ერწყმის ტექსტის ქსოვილს. „შუმანიკის წამება“ დღესაც ყველაზე „ბუნებრივ ქართულად“ აღიქმება.

მაგრამ, ამასთან ერთად, „ფსალმუნთა გამოკრებული თარგმანებისა“ და ეფრემ მცირის კომენტარები იმისი თქმის საფუძველს გვაძლევენ, რომ ბიბლიის თარგმანიდან ენაში თითქოს უკვე დამკვიდრებული გამომსახველობითი საშუალებები – „წერილის ენა“ თავისი სპეციფიკურობისა და განსხვავებულობის გამო, X-XI საუკუნეებშიც კი ფილოლოგიურ კომენტარს საჭიროებდნენ: მაგ., ამ განმარტებებში ხშირად აღნიშნულია, რომ თარგმანი ზოგჯერ შესრულებულია არა „ვითარ ჩუენსა ენასა შეეტყუებოდა, არამედ ჩუეულებისაებრ, მეყასობისაებრ ებრაულისა“. ამრიგად, წმიდა წერილის ენა არც ქართულ თარგმანში ყოფილა „ბუნებრივი“, სამწერლობო თუ სალაპარაკო ქართული, ანუ ის, რაც ფსალმუნთა ზემოხსენებულ თარგმანებში „ნებად ბუნებითად“ მოიხსენიება. წმიდა წერილის ებრაულისათვის დამახასიათებელი ფორმები, ქართული თარგმანისთვის, ისევე, როგორც ბერძნულისთვის, ებრაულის „ნამეტნავი ჩუეულებაა“. მაგრამ კარგი მთარგმნელის ხელში ეს „ნამეტნავი ჩუეულება“ „ჟამითი ჟამად ნებად ბუნებითად შეიქმნების, ანუთუ წესად“. ასეთი ცვლილება, როცა ერთი ენიდან მეორე ენაზე ტექსტის გადმოტანა თარგმანის ენას ცვლის, ახალ სულს დებს მასში, გამოხატვის ახალ ფორმებს სძენს მას, ძალადობა კი არ არის ენაზე, მისი შესაძლებლობების გამოვლენა, მისი გამდიდრებაა. ეს, ამავე დროს, სულიერი გამდიდრებაცაა მკითხველისა, მისი ახალ სააზროვნო მასშტაბებთან, ახალ სააზროვნო ფორმებთან ზიარებაცაა.

ფაქტია, რომ ამ, როგორც სააზროვნო, ისე გამომსახველობით ფორმებთან ქართული ენა უკვე ნაზიარებია V საუკუნეში, წმიდა წერილის ენა უკვე „ნებად ბუნებითად“ არის ქცეული, უკვე მთლიანად მსჭვალავს სამწერლობო ენას, იმათ ენას, ვინც ქრისტიანულად აზროვნებს და მეტყველებს.

ამ აზრის დადასტურებას სხვა კუთხითაც ვეცდები. ენას, როგორც ცნობილია, სხვადასხვა ფუნქცია აქვს. ვერბალური კომუნიკაცია, ინფორმაციის გადაცემა მხოლოდ ერთ-ერთი ფუნქციაა ენისა. ენის დანარჩენი ფუნქციებია: გამოხატოს ადამიანის სულიერი სამყარო, მოახდინოს აზრის ჩამოყალიბება შესაბამის ფორმაში, შეინახოს სულიერი თუ ინტელექტუალური გამოცდილება... ერთი ენის ფარგლებში განსხვავდება სალაპარაკო, სალიტერატურო, ფილოსოფიის და სხვა ენები (სტილები). წმიდა წერილის ენაც ამ კონტექსტში უნდა იქნას განხილული, რაც სრულიადაც არ გულისხმობს ბიბლიის ენისთვის „საკრალური“, ელიტარული ენის სტატუსის მინიჭებას.

ყველა ენა გარკვეულ სოციალურ გარემოში არსებობს და, ამიტომ, ერთიდაიგივე ენა სხვადასხვა სოციალური წრის წარმომადგენლებისათვის ხშირად გაუგებარია. ბიბლიის ენის ფუნქციონირების ადგილი ეკლესიაა, მას ეკლესიის წევრები იყენებენ. მაგრამ როდესაც ადამიანი ეკლესიას უუცხოვდება,

როდესაც ეკლესიის გარეთ გადის, მისთვის ეკლესიის სალაპარაკო ენა – საღმრთო წერილის ენა და ლიტურგიკის ენაც უცხო ხდება. იგი ამ ენას ფუნქციურ დატვირთვას აშორებს, მას გამოყენების სივრცის მიღმა განიხილავს და მკვდარ ენად აღიქვამს. სწორედ ამიტომ, როდესაც ენის „ბუნებრიობაზე“ თუ „ხელოვნურობაზე“ ვლაპარაკობთ, უნდა დავაზუსტოთ, თუ რომელი სოციუმის ენაზე ვლაპარაკობთ და მასთან მიმართებაში უნდა განვსაზღვროთ, რამდენად ბუნებრივია და გასაგებია ესა თუ ის ფორმა თუ კონსტრუქცია.

ამას გარდა, რას ვგულისხმობთ, როდესაც „ბუნებრივ ქართულზე“ ვლაპარაკობთ? როგორ განვსაზღვროთ იგი, როდესაც, ერთი მხრივ, უძველესი ქართული ორიგინალური ძეგლები უკვე გაქვნილია უცხო ენებიდან შემოსული ფრაზეოლოგიით, არც ეფრემ მცირის ანდერძების ენაა მის თარგმანებზე ნაკლებ ელინოფილური და არც იოანე პეტრიწის ორიგინალური კომენტარი განსხვავდება მისი თარგმანისაგან. მაშ, რას, რომელი ტექსტის ენას ვგულისხმობთ, როდესაც „კარგ“, ან „ბუნებრივ“ ქართულზე ვლაპარაკობთ? მეორე მხრივ, თუკი „ბუნებრივ ენად“ სამეტყველო ენა მიგვაჩნია, „ბუნებრივი ქართული“ მეტყველების ნიმუშად რა დოკუმენტურ მასალას ვიყენებთ?! ან, რომც გვქონდეს ამგვარი მასალა, რომელი მეტყველებისთვის უნდა შეგვედარებინა ქართული წერილობითი ძეგლები – ნათარგმნი თუ ორიგინალური – მაღალი ფენის ენისათვის (რომლის მეტყველება უეჭველად მწიგნობრული იქნებოდა) თუ დაბალი ფენის მეტყველებისთვის (რომლის მეტყველება, როგორც ცნობილია, ყველაზე ადრე იწყებს ადაპტაციას უცხო ენობრივ ფორმულირებებთან), ან რატომ უნდა შეგვედარებინა ფუნქციურად და სოციალურად განსხვავებული ენები (სამწერლობო და სალაპარაკო, საღვთისმეტყველო და ყოფითი) ერთმანეთთან? და ბოლოს, ვისთვისაა ენა „ბუნებრივი“ ან „ხელოვნური“, ჩვენი თავით ხომ არ ვზომავთ სხვა ეპოქისა და სხვა სააზროვნო ინტერესების, სხვა, ჩვენზე გაცილებით დიდი ინტელექტუალური თუ სულიერი ცოდნის მქონეთა ენას (მე აზრს იოანე პეტრიწისაგან ვსესხვლობ, რომელიც მისი წიგნის სირთულეზე ლაპარაკობს „უჩვეველთათვის უსხეულოთა განცდისა“)? ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ამგვარი შეფასებებისას, როდესაც არც ისტორიული გრამატიკა გვიჭირავს ხელში და არც ენის დიაქრონიული სტატისტიკური მონაცემები გვაქვს, ჩვენი ინტუიცია ანდა ის, რამდენად გასაგებია თავად ჩვენთვის ტექსტი, მისი „ბუნებრიობის“ განმსაზღვრელი ვერ იქნება.

ისევ სოციოლინგვისტიკის პოზიციას დავუბრუნდეთ: ცნობილია, რომ ენა, სხვადასხვა ფუნქციით აღებული, აღქმის სხვადასხვა საშუალებით აღწევს ადრესატამდე (მაგ. დედის ნანა ჩვილი ბავშვის ემოციამდე, პედაგოგის ახსნილი გაკვეთილი მოსწავლის გონებამდე...). წმიდა წერილის ენა მხოლოდ ვერბალურად, ან მხოლოდ გონებით კი არ აღიქმება, არამედ უფრო გულით. მის გასაგებად ადამიანის მთელი სულიერი ძალებია ჩართული. ძველ ენებზე წმიდა წერილის კითხვისას კაცს, უპირველეს ყოვლისა, სათანადო განწყობა ეუფლება. სწორედ ეს განწყობა ხდის წმიდა წერილს განუმეორებელს, სწორედ ამიტომ წმიდა წერილი უცნობ ენაზეც გამოიცნობა. ამგვარი ზემოქმედება ადამიანის სულზე უპირველესი ნიშანი და მახასიათებელია ბიბლიის ენისა. ინფორმაციის გადაცემა შემდგომი ეტაპია, მაგრამ მას თუ ღვთისმოსიანების განწყობა არ უძღვის, სარწმუნოების გარეშე, ოდენ ცივი გონებით ინფორმაციის მიღება მკითხველისათვის ბიბლიის ენის გაგების თვალსაზრისით არაფრის მომცემია. ასეთ შემთხვევაში ბიბლიის ენა

ფუნქციურ დატვირთვას კარგავს და გარკვეული, ხშირ შემთხვევაში გაუგებარი ინფორმაციის შემცველ ტექსტად იქცევა.

ჩემს სათაურში დასმულმა შეკითხვამ მლოცველი შეიძლება დააზნოს, ვერაფერი თქვას „რქის“ სიმბოლიკაზე აღმოსავლურ კულტურასა და, კერძოდ, ბიბლიაში, შეიძლება სახელდახელოდ ვერც სემანტიკური სინონიმი იპოვოს და ვერ შეცვალოს ეს ებრაული იდიომა ქართული „გააძლიერე“-თი, მაგრამ, ღვთისმსახურებისა და ფსალმუნთა რიტმში ჩამჯდარი, იგი აბსოლუტურად ზუსტად გრძნობს თავის სათხოვარს და ასევე ადეკვატურად გადმოსცემს მას, ისევე, როგორც „წმიდა ნინოს“ ცხოვრების ქართველი ავტორი, რომელიც კონსტანტინე დიდის გაქრისტიანებას – ქრისტიანობის ძლევამოსილ გამარჯვებას წარმართობაზე ასე წარმოგვიდგენს: „და განიხარა ყოველმან ერმან მორწმუნეთამან და ამაღლდა რქად ქრისტიანეთად“.